

საუნივერსიტეტო რესურსებით სარგებლობის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში უნივერსიტეტის) სარგებლობაში არსებული რესურსების გამოყენების წესს.
2. საუნივერსიტეტო რესურსებით სარგებლობის წესს ამტკიცებს აკადემიური საბჭო და მოქმედებს უნივერსიტეტის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 2. ლაბორატორიის სარგებლობის უსაფრთხოების წესები

1. ლაბორატორიის სამუშაო ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ ის პერსონალი, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ლაბორატორიის სარგებლობის უსაფრთხოების წესები მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს სათანადო აღჭურვილობა მისი მოხმარების აღწერილობის მიხედვით.
2. სამუშაოების მიმდინარეობისას ლაბორატორიის კარი უნდა დაიხუროს .
3. სამუშაოს დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ლაბორანტის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მიღების შემდეგ.
4. ლაბორატორიულ ამოცანაზე დაშვების მისაღებად მომხმარებელი უნდა გაეცნოს ლაბორატორიული ამოცანის აღწერას და მისი შესრულების უსაფრთხო წესებს.
5. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელსაწყო უნდა გამოირთოს, სამუშაო ადგილი დალაგდეს და ჩაბარდეს ლაბორანტს.
6. აწყობილი ხელსაწყოს ჩართვამდე მომხმარებელი ვალდებულია აჩვენოს ლაბორანტს მომზადებული დანადგარი, ექსპერიმენტის შესრულების მსვლელობის ჩასაწერად მომზადებული დაკვირვების ჟურნალი და მონაცემების შესატანი. დაუშვებელია ელექტრულ ხელსაწყობთან მუშაობა სველი ხელით. დიდი ტევადობის კონდენსატორებთან მუშაობისას აუცილებელია ინდივიდუალური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება – დამცავი ხელთათმანი, იზოლირებული სახელურები, დამჭერები და ა.შ. მომჭერებზე ძაბვის არსებობის შემოწმება დასაშვებია მხოლოდ იზოლირებული სახელურის მქონე ტესტერით.
7. დაუშვებელია ელექტროხელსაწყობის არაიზოლირებულ მომჭერებთან დაუცველი ხელის შეხება.

8. თხევადი და მყარი სხეულების გახურებისას დაუშვებელია ჭურჭელში ზემოდან ჩახედვა.
9. დაუშვებელია ლაზერის სხივის ან მისი ანარეკლის მიმართვა თვალში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაზიანება და მხედველობის დაკარგვაც კი.
10. აუცილებელია მოხდეს თითოეული ინციდენტის ადეკვატური სამედიცინო შეფასება, დაწესდეს ზედამხედველობა და ჩატარდეს შესაბამისი მკურნალობა.
11. ლაბორატორიაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოება სანიტარული ნორმები.
12. მინის საგნების გატეხვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ გასუფთავდეს ლაბორატორია მინის ნარჩენებისაგან;
13. ინფექციურ მასალასთან შეხების შემდეგ ლაბორატორიიდან გასვლის წინ მომხმარებელი ვალდებულია დაიბანოს ხელი.
14. ინფორმაცია ინფექციური მასალი გაჟონვის, უბედური შემთხვევის და აშკარა ან პოტენციური დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

მუხლი 3. ფიზიკის ლაბორატორია

1. ფიზიკის ლაბორატორია წარმოადგენს ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და მას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის გამგე.
2. ფიზიკის ლაბორატორიაში წარმოდგენილია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები, რომელიც გამიზნულია სტუდენტისთვის / მომხმარებელისთვის ფიზიკური მოვლენის ახსნისთვის, თვალსაჩინოებისთვის, ექსპერიმენტის ჩატარებისთვის და ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნისთვის.

მუხლი 4. კომპიუტერული ქსელური ლაბორატორია (Cisco)

1. კომპიუტერული ქსელური ლაბორატორია (Cisco) წარმოადგენს ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და მას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის გამგე.
2. კომპიუტერული ქსელური ლაბორატორია (Cisco) აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში სტუდენტების თეორიული ცოდნისა მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

მუხლი 5. კომპიუტერული არქიტექტურის ლაბორატორია

1. კომპიუტერული არქიტექტურის ლაბორატორია წარმოადგენს ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და მას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის გამგე.
2. კომპიუტერული არქიტექტურის ლაბორატორიაში წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება კომპიუტერის არქიტექტურისა და მუშაობის პრინციპების შესასწავლად.

მუხლი 6. კომპიუტერული კლასები

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები.
2. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და გამიზნულია სალექციო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის.

მუხლი 7. ანატომიის და სიმულაციური ლაბორატორია

1. უნივერსიტეტს გააჩნია ანატომიის და სიმულაციური ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით.
2. ლაბორატორია ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 8. კრიმინალისტიკის ლაბორატორია

1. კრიმინალისტიკურ კლინიკაში სტუდენტები სწავლობენ საგამომიებო ტაქტიკასა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების ტექნიკას, კვალთა და სხვა მტკიცებულებათა გამოვლენას, ფიქსირებას და გამოკვლევას, ასევე საგამომიებო მოქმედებების ჩატარების, ადამიანის სიცოცხლის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სატრანსპორტო, სამოხელეო თუ სხვა დანაშაულების საგამომიებო მოქმედების ასახვას.
2. კლინიკა აღჭურვილია შესაბამისი კრიმინალისტიკური ტექნიკით, რეაქტივებით და მასალით.

მუხლი 9. იმიტირებული სასამართლო დარბაზი

1. სასამართლო დარბაზი აღჭურვილია სასამართლო პროცესისათვის წარმართვის ყველა საჭირო ატრიბუტით, რეგულარულად იმართება იმიტირებული პროცესები.
2. იმიტირებული სასამართლო დარბაზი ფუნქციონირებს სამართლის სკოლის პროფესიული განვითარების ცენტრის ფარგლებში.

მუხლი 10. საგამოფენო გალერეა Art Space

1. გალერეა Art Space გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (ფერწერული ტილოები, ფოტონამუშევრები და სხვა) გამოფენა/ექსპოზიციების მოსაწყობად.
2. გალერეა Art Space ფუნქციონირებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 10. ენების ლაბორატორია

1. ენების ლაბორატორია ახორციელებს ენების სწავლების პროგრამების დამუშავებას და ამ პროგრამების ტექნიკურ მხარდაჭერას.
2. ენების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლა.
3. ენების ლაბორატორიის სტრუქტურულ შემადგენლობაში შედის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ასისტენტი.
4. ენების ლაბორატორია მუშაობს შემდეგი განრიგით:
 - ორშაბათი - შაბათი 900–1800

მუხლი 11. სატელევიზიო და მედია ცენტრი

1. სატელევიზიო სტუდიას და მედია ცენტრს ხელმძღვანელობს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ჟურნალისტიკის დეპარტამენტი.
2. სატელევიზიო სტუდია აღჭურვილია ვიდეო და ციფრული კამერებით და სხვა შესაბამისი ტექნიკით, რაც აუცილებელია სტუდიური გადაცემების მოსამზადებლად თუ სხვა ტელეპროექტის შესაქმნელად.
3. მედია ცენტრი აღჭურვილია ტექნიკით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით რაც საჭიროა მედია პროექტის შესაქმნელად.

მუხლი 12. საუნივერსიტეტო აუდიტორიებით სარგებლობის წესი

1. უნივერსიტეტის აუდიტორიები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარით.
2. უნივერსიტეტის აუდიტორიის დაჯავშნის მსურველმა უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის №28-13 ოქმით

3. სტუდენტები აუდიტორიის დასაჯავშნად მიმართავენ სტუდენტურ საქმეთა ცენტრის პრეზიდენტს.

მუხლი 13. სპორტული ინფრასტრუქტურა

1. უნივერსიტეტს აქვს დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედნები.
2. სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპორტული სკოლა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ძალადაკარგულა გამოცხადდეს 2012 წლის 13 ივნისის №21-12 ოქმით დამტკიცებული საუნივერსიტეტო რესურსებით სარგებლობის წესი.